საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბანისხევი

ბანისხევი, მდინარე აღმ. საქართველოში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხ. შენაკადი (ერთვის სოფ. რველის მახლობლად). სიგრძე 16 კმ, აუზის ფართ. 49,2 კმ^2. სათავე აქვს ლომისმთის (მესხეთის ქედი) სამხრ. კალთაზე, 1992 მ სიმაღლეზე. მიედინება წიწვოვანი და შერეული ტყეებით შემოსილ ღრმა და ვიწრო ხეობაში. საშ. წლ. ხარჯი 1,73 მ^3/წმ. ერთვის ბევრი პატარა შენაკადი, რ-თა საერთო სიგრძეა 42 კმ.

ი. აფხაზავა